საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 83 04/12/2017

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017** წლის **3** ივლისის **#50/43** განკარგეულბაში „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63–ე მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. შეტანილი იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის # 50/43 განკარგულებაში **„საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“** დანართი #1 -ში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის).

მუხლი 2.საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხას დაემატოს შემდეგი მოძრავი და უძრავი ქონება:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელი მარელისში მდებარე 60 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 36.15.38.254).

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაშეში მდებარე ყოფილი კლუბ-კანტორის შენობა (ს/კ 36.04.34.020) (უნდა მოხდეს დემონტაჟი).

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ მარელისში მდებარე 33 კვ.მ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 36.15.38.229).

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180–ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე



საკრებულოს თავმჯდომარე